მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №4

ქ. მარტვილი 19 აპრილი, 2024 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე დამთავრდა 14:00 სთ-ზე

რეგისტრაცია გაიარეს: ლევან სურმავა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია, დათო ხელაია, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, ვახტანგ კეკელია, ნათია ქაჯაია, კობა ასაბაშვილი, ზაზა ფრანგიშვილი.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ნუგზარ ცანავა - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ, სიმონ რევია - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგი პროექტი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 26. წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2024 წლის 19 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 აპრილის განკარგულება № 13 სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი - ლევან სურმავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/

3. მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩის სახელდების შესახებ;
/მომხსენებელი - კახაბერ კჯერენაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/
4. ,,ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი"-სთვის ს.ნ.: 404497790 ფართოზოლოვანი ინტერნეტის ქსელის მოსაწყობად და მისი შემდგომი ფუნქციონირების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 178 (ას სამოცდათვრამეტი) ერთეული გარე განათების ბოძების უსასყიდლოდ, განუსაზღვრელი ვადით გამოყენებასთან დაკავშირებით, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 მარტის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი - ნუგზარ ცანავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა ისაუბრა აღნიშნული საკითხის ირგვლივ და საკრებულოს წევრებს პროექტორის საშუალებით გააცნო საპრივატიზაციო ობიექტის ადგილმდებარეობა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით დაისვა კითხვები. მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს დასმულ კითხვებზე უპასუხა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 25. წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 1.

დაადგინეს: დამტკიცდეს, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ საკითხი წარმოდგენილი სახით.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 აპრილის განკარგულება №14 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მე-3 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა.

მოისმინეს 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კახაბერ ჯგერენაიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩის სახელდების შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი, სადაც დანართის სახით წარმოდგენილია შესაბამისი კომისიის მიერ თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე ნამიკოლაოში №39 ქუჩისთვის ნიკო ფიროსმანის სახელის მინიჭების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით დაისვა კითხვები. მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს დასმულ კითხვებზე უპასუხა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 24. წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 2.

დაადგინეს: მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე ნამიკოლაოში №39 ქუჩას მიენიჭოს გამოჩენილი მხატვრის ნიკო ფიროსმანის სახელი.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩისთვის სახელის მინიჭების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 აპრილის განკარგულება №15 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-4 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა.

მოისმინეს4. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ-ის ნუგზარ ცანავას მოხსენება, ,,ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი"-სთვის ს.ნ.: 404497790 ფართოზოლოვანი ინტერნეტის ქსელის მოსაწყობად და მისი შემდგომი ფუნქციონირების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 178 (ას სამოცდათვრამეტი) ერთეული გარე განათების ბოძების უსასყიდლოდ, განუსაზღვრელი ვადით გამოყენებასთან დაკავშირებით, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ” მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 მარტის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა ისაუბრა აღნიშნული საკითხის ირგვლივ და აღნიშნა, რომ საკითხი ეხებოდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების აღნიშნული კომპანიის მიერ უსასყიდლოდ გამოყენებას განუსაზღვრელი ვადით მარტვილის მუნიციპალიტეტის ინტერნეტით უზრუნველყოფის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით დაისვა კითხვები. მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს დასმულ კითხვებზე უპასუხა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 24. წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 1.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი"-სთვის ს.ნ.: 404497790 ფართოზოლოვანი ინტერნეტის ქსელის მოსაწყობად და მისი შემდგომი ფუნქციონირების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 178 (ას სამოცდათვრამეტი) ერთეული გარე განათების ბოძების უსასყიდლოდ, განუსაზღვრელი ვადით გამოყენებასთან დაკავშირებით, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 მარტის №12 მარტის განკარგულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე..

/,,ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი"-სთვის ს.ნ.: 404497790 ფართოზოლოვანი ინტერნეტის ქსელის მოსაწყობად და მისი შემდგომი ფუნქციონირების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 178 (ას სამოცდათვრამეტი) ერთეული გარე განათების ბოძების უსასყიდლოდ, განუსაზღვრელი ვადით

გამოყენებასთან დაკავშირებით, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 მარტის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 აპრილის განკარგულება №16 სხდომის ოქმს თან ერთვის./

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა